საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/135 “ 12 ” დეკემბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე თ. ჭუნიაშვილისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილს უფლებამოსილების ვადა ეწურება 2022 წლის 12 დეკემბერს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლმა 2022 წლის 9 დეკემბერს №3798-ო წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რათა საბჭომ იმსჯელოს მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე.

თამარ ჭუნიაშვილს წარმოებაში აქვს 90 სამოქალაქო საქმე. სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების სხვა მოსამართლეებისათვის გადაცემა, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს. გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე თ. ჭუნიაშვილი მონაწილეობას იღებს მიმდინარე (2022 წლის ნოემბრის თვის) მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში, რომლის შედეგების შეჯამება დაგეგმილია უახლოეს პერიოდში. შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობაზე ახალი ვადით გამწესების შემთხვევაში თ. ჭუნიაშვილს ექნება მის წარმოებაში არსებული საქმეების დასრულების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე თამარ ჭუნიაშვილს 2022 წლის 13 დეკემბრიდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე, მაგრამ არაუმეტეს 2023 წლის 13 მარტისა.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე